

ანდრეას კანი*

დავიდ კ. დონალდი**

გიორგი მახარობლიშვილი (მთარგმნელი)***

დირექტორის ერთგულების მოვალეობა¹

I. წესები, სტანდარტები და ფიდუციური მოვალეობები

მიმდინარე თავში განხილული საკითხები უკავშირდება იმ მომენტს, როდესაც აქციონერები გამოიყენებენ თავიანთ უფლებამოსილებას და აირჩევენ დირექტორებს, ხოლო ბორდი იკავებს თავის ადგილს სათავე ოფისში.² მოცემული სამივე იურისდიქცია განსხვავებულ წესებსა და სტანდარტებს ადგენს მენეჯმენტის არაკომპეტენტურობისა და არალოიალურობის გან დაცვის უზრუნველსაყოფად. თითოეული იურისდიქცია მოითხოვს, რომ მენეჯერებმა ნებისმიერ დროს იმოქმედონ ორმაგი გულმოდგინებისა (გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა) და ერთგულების, ლოიალურობის გათვალისწინებით (ერთგულების მოვალეობა). „ქცევის სტანდარტი“ აღწერს თუ როგორ უნდა იმოქმედოს ან როგორ უნდა შეასრულოს ფუნქციები თუ დავალება და მოქმედებს როგორც ღია ტიპის საზომი, რომლითაც შესაძლებელია კომპანიის წარმოდგენის ხარისხის *ex post* შეფასება. „წესი“, სტანდარტის საპირისპიროდ, გულისხმობს რაღაც განსხვავებულს, რაც მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს ან არ უნდა განახორციელოს. სტანდარტების მოქნილად ადაპტირდება ქმედებებსა და პროცედურებთან, რომლებიც ვერ ისაზღვრება იმ დროს, როცა სტანდარტების გაწერა ხდება, მაგრამ სტანდარტებმა დირექტორებისთვის შესაძლოა შექმნან სამართლებრივი რისკები, რადგან მათი მოთხოვნების ფარგლები ხშირად ძალიან რთულია წინასწარ განისაზღვროს. წესები, მეორე მხრივ, გვთავაზობს მკაფიო საზღვრებს, რომლებიც ადვილად გამოყენებადია, მაგრამ ანალოგიური მიზეზით მათ გვერდი შესაძლოა მარტივად აეცლოს – დადგენილია, რომ მისი პარამეტრები ნათელი და მტკიცეა – თუ ისინი შეწყობილია მნიშვნელოვან მომიჯნავე სიხშირესთან და ხშირად შეუძლებელი ხდება ცვლადი გარემოებების მხედველობაში მიღება-გათვალისწინება.³

* სამართლის პროფესორი, გოეთეს უნივერსიტეტის სამართლისა და ფინანსების ინსტიტუტის დირექტორი (ფრანკფურტი).

** ჩინეთის ჰონკონგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, PhD ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბუფალო), JD ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი, Dr Jur ფრანკფურტის უნივერსიტეტი.

*** სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

¹ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მე-12 თავის თარგმანს წიგნიდან: Chan A., Donald D. C., *Comparative Company Law, Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA*, Cambridge University Press, 2011.

² ჩვენ განვიხილავთ აქციონერთა უფლებამოსილებას დირექტორების არჩევა/დანიშვნა-გათავისუფლებაში, აგრეთვე, მე-16 თავში განხილულ იქნება მათ მიერ მოწონებისა და ვეტოს დადების შემთხვევები კომპანიაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებისას.

³ მოცემული შემთხვევა ნათელია ჩვენსავით სწრაფად ევოლუციურ ტექნოლოგიურ გარემოში, როდესაც სამართლის წესებით დგინდება კონკრეტული ტექნოლოგიის როგორიც არის კანონიერი მოთხოვნა, რომ საერთო კრების მოწვევაზე შეტყობინება „პირველი კლასის ელ-ფოსტით“ უნდა იქნეს დაგზავნილი ან გამოქვეყნდეს „ბიზნეს გაზეთში“. „სავაჭრო ტრადიციებით“ დადგენილი წესებით მოწვევის სტან-

დირექტორის მოვალეობათა კონტექსტში, სტანდარტები გარკვეულ სივრცეს ტოვებენ მენეჯერული დისკრეციისა და ინოვაციისთვის, მაგრამ წესები აგრეთვე გამოიყენება მაშინ, როცა შესაძლებელია სტანდარტების გაძლიერება თუ მისი (სტანდარტის) დარღვევის შესაძლებლობა მაღალია ან როცა საჭიროა ეჭვებისა და გაურკვევლობის შემცირება. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის კომისიამ დაადგინა ტერმინი „უსაფრთხო ნავსადგური“ ბოლო ტიპის წესთან მიმართებით: თუ მე ვემორჩილები მკვეთრი ხაზის წესებს, მე დაცული ვარ სტანდარტების შესაძლო გამოყენებისაგან. მაგალითად, თუ ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზება მოითხოვს გარკვეულ ფორმალობათა დაცვას, „უსაფრთხო ნავსადგურის“ წესმა შეიძლება დაადგინოს, რომ მე შეიძლება შევთავაზო ფასიანი ქაღალდები პირთა შეზღუდულ წრეს („კერძო“ განთავსება) ან განსაზღვრული ტიპის ადამიანებს (გამოცდილ, პროფესიონალ ინვესტორებს) ისე, რომ ჩემი შეთავაზება არ იქნეს „საჯარო შეთავაზებად“ მიჩნეული.⁴ თუ მე ნათელი ხაზის უსაფრთხო მხარეს დავრჩები, არ დამჭირდება იმაზე ფიქრი, რომ შედარებით მოქნილი სიტყვა „საჯარო“ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ჩემი ფასიანი ქაღალდების გასხვისების მიმართ გავრცელდეს.

დირექტორები მიიჩნევიან „ფიდუციარებად“, რამდენადაც ისინი ინიშნებიან ქონების (კომპანიის) სამართავად, რომელიც ეკუთვნის აქციონერებს და არა მათ; ამიტომ, მათ უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით და ვალდებული არიან საკუთარი პირადი ინტერესები დაუქვემდებარონ, მეორეხარისხოვნად აქციონ კომპანიის ინტერესებთან შედარებით. ყველა ჩვენ იურისდიქციაში საკორპორაციოსამართლებრივი რეგულაციების მიხედვით, დირექტორი დაარღვევს ერთგულების მოვალეობას (სტანდარტს), თუ ის მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ზიანს მოუტანს კომპანიას, მაგრამ თავად სარგებელს ნახავს ამის შედეგად. ეს სტანდარტი დირექტორს აღჭურავს უფლებამოსილებით მართოს კომპანია იმგვარად, როგორც მას მიაჩნია მანამ, სანამ ის არალოიალურად განახორციელებს რაიმე ქმედებას. ასეთი მდგომარეობა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, როდესაც დირექტორს გარკვეული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ინტერესი აქვს ტრანზაქციის მიმართ. შესაბამისად, თუ ჩვენ ვიცით, რომ დირექტორმა შეიძლება იმოქმედოს არალოიალურად, როდესაც მათ აქვთ გარკვეული ინტერესი ტრანზაქციაში, მაშინ ჩვენ შეგვიძლია გავანეიტრალოთ ასეთი ინტერესი იმ წესის მეშვეობით, რომელიც სავალდებულო მოთხოვნად დააწესებს ბორდის ან აქციონერთა საერთო კრების მიერ მოწონების საჭიროებას, რომელთაც ტრანზაქციის მიმართ ინტერესი არ გააჩნიათ. თითოეული წარმოდგენილი იურისდიქცია მეტ-ნაკლებად დეტალურ წესებს ადგენს ასეთი ტრანზაქციის მოსაწონებლად, განსაკუთრებით დირექტორთან დადებული სესხის ხელშეკრულების მიმართ. მაშინ, როცა ასეთი წესი დირექტორის გადაწყვეტილების მიღების პროცესს არ უშლის ხელს და ამიტომ სტანდარტის მოქნილი გამოყენების შესაძლებლობას ამცირებს, ის ასევე ამცირებს დირექტორის არალოიალური მოქმედების შანსებსა და ამცირებს დირექტორის სამართლებრივ რისკებს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო სარჩელის აღძვრის თაობაზე. ასე, გარკვეულწილად, წესი შეიძლება შეიჭრას დირექტორის თავისუფლებაში, მაგრამ გარკვეულწილად მან

დარტული მოთხოვნა მისი გამოყენების უფრო მეტ სამართლებრივ რისკს შექმნის, მაგრამ დატოვებს ინოვაციური შესაძლებლობის გამოყენების შესაძლებლობას, როგორც ინტერნეტი და სხვა ტექნოლოგიური საშუალებებია.

⁴ იხილეთ ე.წ. 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსი §§ 230.501 და მომდევნო. („რეგულაცია D“); 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსი §§ 230.144A.

შეიძლება დაიცვას ასეთი თავისუფლება. სხვა მაგალითი, ამ კუთხით, მეტ სიცხადეს შეიტანს საკითხში: თუ ჩვენ ვიცით, რომ აქციონერებს სურთ დირექტორმა მიიღოს სარისკო გადაწყვეტილება, რომელიც შემოსავლებს გაზრდის ან ზოგიერთ შემთხვევაში გამოიწვევს დანაკარგებს, ჩვენ შეიძლება სასამართლოში გამოვიყენოთ წესი, რომ მათი (აქციონერების) „ხელები დირექტორის გადაწყვეტილებისგან შორს დარჩეს“ თუ დირექტორს არ აქვს რაიმე სახის ინტერესი მოცემულ ტრანზაქციაში და ამასთანავე, სასამართლო გამოიყენებს პროცედურებს, რომელიც მიღებული და ადაბტირებულია გარემოებებიდან გამომდინარე და ვრცელდება გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამკარად ირაციონალური არ არის. წესი, რომელიც ამ მიზანს ემსახურება მიჩნეულია, ე.წ. სამენარმეო გადაწყვეტილების წესად, რომელზეც უფრო სიღრმისეული ანალიზი მე-13 თავში გვექნება შემოთავაზებული. ამგვარად, წესების გამოყენებამ შეიძლება შეცვალოს ის მეთოდი, რომლის გამოყენებითაც სასამართლო მიმოიხილავს დირექტორის ქცევის შესაბამისობის საკითხს გამოსაყენებელ ერთგულებისა და გულმოდგინე ხელმძღვანელობის სტანდარტთან მიმართებით. ერთგულების მოვალეობის შემთხვევაში, თუ დაუინტერესებელი დირექტორი მოიწონებს ტრანზაქციას, ან გულმოდგინე ხელმძღვანელობის შემთხვევაში, თუ დირექტორი ინფორმირებულ გადაწყვეტილებას ღებულობს, სასამართლო ტრანზაქციის შინაარსის განხილვიდან გადაწყვეტილების ზედაპირულ (ფორმალურ) განხილვაზე გადაერთვება.

მიმდინარე თავში, ჩვენ ინტერესის საგანია არა ქცევის სტანდარტების კომბინაცია და იმის მიმოხილვა, რომელიც დირექტორებს ნებას რთავს გასწიონ აუცილებელი რისკი აქციონერთა არარაციონალური სამენარმეო გადაწყვეტილებისგან დასაცავად (სამენარმეო გადაწყვეტილებათა წესის მიხედვით გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა), არამედ სიტუაციები, რომელშიც დირექტორები მიდრეკილნი არიან იმოქმედონ უფრო მეტად საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ვიდრე კომპანიის საკეთილდღეოდ. როგორც აღინიშნა, სტანდარტი, რომელიც ასეთი ქმედებისგან იცავს კომპანიას არის დირექტორთა ერთგულების მოვალეობა (ან ფიდუციური მოვალეობა) და ჩვენ ყველა იურისდიქციაში ეს სტანდარტი მომდინარეობს იმ მდგომარეობიდან, რომ დირექტორები მართავენ იმ საკუთრებას (მიუხედავად იმისა, მასში მოვიაზრებთ თავად კომპანიას თუ მის აქტივებს), რომელიც სხვას ეკუთვნის (კომპანია ეკუთვნით თავად აქციონერებს, ხოლო აქტივები თავად კომპანიას). ეს მოვალეობა არის ფიდუციური მოვალეობა. ფიდუციური მოვალეობა წარმოიშობა იქ, სადაც „ერთი მხარე ('ფიდუციარი') სხვა მხარის სახელით მოქმედებს ('ბენეფიციარი') საკუთარი დისკრეციის ფარგლებში და ამისათვის იყენებს ბენეფიციარის კუთვნილ მნიშვნელოვან რესურსს.“⁵ ფიდუციური ურთიერთობის კლასიკური მაგალითია მინდობილ მესაკუთრესა და ბენეფიციარს შორის, მმართველ პარტნიორსა და მის თანაპარტნიორს შორის ან წარმომადგენელსა და პრინციპალს შორის ურთიერთობა. საერთო სამართალში, „რამდენდაც ურთიერთობების რიცხვი არსებული ფიდუციური ურთიერთობის ზრდის მსგავსად გაიზარდა, სასამართლოებმა დაიწყეს ახალ ურთიერთობებთან არსებული ფიდუციური პროტოტიპების ანალოგიის გავლება და ახალი ურთიერთობების მიმართ აღნიშნული პროტოტიპების შესახებ წესების გამოყენება. საკორპორაციო სამართალი, მაგალითად, ხშირად ანალოგიაში წარმოსახავს დირექტორებს მინდობილ მესაკუთრესთან, წარმომადგენელთან და მმართველ პარტნიორთან.“⁶ გერმანული სამართალი ფიდუციური ინსტიტუტთან დაკავშირებით რომაული სამართლის ნაკვალევს მიჰ-

⁵ Smith (2002:1402).

⁶ Frankel (1983:805).

ყვება.⁷ ფიდუციურ მოვალეობათა საერთო და კონტინენტური სამართლის ტრადიციების მიხედვით, წარმოშობისა და განვითარების დამოუკიდებელი წყაროების მიუხედავად, კორპორაციის დირექტორები მიიჩნევიან როგორც კომპანიის ფიდუციარებად, ისე აქციონერთა მიმართ ფიდუციარებად: აქციონერები ირჩევენ დირექტორებს, რათა მათ იმოქმედონ საკუთარი შეხედულების მიხედვით დისკრეციის ფარგლებში, რომელიც მათ კომპანიის მართვისას სჭირდებათ, რომელიც (კომპანია) არის აქტივი და კორპორაციის წილების მფლობელ თითოეულ პირს შორის პროპორციულად, თანაბრად არის გადანაწილებული. ფიდუციარობას ორი ატრიბუტი ახასიათებს: გულმოდგინება (კომპეტენცია ან კვალიფიკაცია) და ერთგულება (მოქმედება უპირატესად ბენეფიციარის ინტერესებისათვის და არა ვინმე კონკრეტული პირის ინტერესების გათვალისწინებით) და მიმდინარე თავში ძირითადად უკანასკნელს მიმოვიხილავთ.

II. ვის მიმართ აქვთ დირექტორებს მოვალეობები?

გერმანიაში, დირექტორს ერთგულებისა და გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობები პირდაპირ კომპანიის მიმართ აქვს.⁸ დირექტორი კომპანიის ინტერესებს უნდა ემსახურობდეს (*Unternehmensinteresse*) მიუხედავად იმისა, ის დანიშნულია წესდებით,⁹ არჩეულია მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებისა¹⁰ თუ აქციონერთა მიერ. *Unternehmensinteresse*-ის ინსტიტუტი მედიაციის როლს ასრულებს, რათა სხვადასხვა მონაწილის ინტერესი მაქსიმალურად თანაბრად იქნეს დაცული კომპანიაში და საკუთარ თავში მოიაზრებს მინიმუმ მოსამსახურეთა, კრედიტორთა და აქციონერთა ინტერესებს.¹¹ საინტერესოა, რომ გერმანიის სამოქალაქო სამართალში *Unternehmensinteresse*-ის არსი განსაზღვრული იქნა, რომ დაცულ იქნეს სხვადასხვა ჯგუფის ინტერესი სასამართლოს მიერ.

გაერთიანებული სამეფოს საერთო სამართლის სისტემაში, მეორე მხრივ, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა დირექტორის მოვალეობები და სხვა იურისდიქციებთან მიმართებით დეტალურად არის განერილი. დირექტორის მოვალეობები არსებობს კომპანიის მიმართ,¹² სასამართლომ ტრადიციული მიგნება აღმოაჩინა, რომ კომპანიის ინტერესები ყველაზე კარგად განიმატებოდა აქციონერთა ინტერესების აგრეგატად.¹³ კოდიფიკაციების მიხედვით, დირექტორი „უნდა მოქმედებდეს ... კეთილსინდისიერად ... რაც განაპირობებს კომპანიის წარმატებას მისი წევრების სარგებლობისთვის, როგორც ერთი მთლიანის და ასეთი მოქმედების პროცესში „უნდა“¹⁴ ითვალისწინებდეს ... (სხვა საკითხთა შორის) (ა) გრძელვადიან შედე-

⁷ Hopt, სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონის დიდი კომენტარი (2005: § 116 mn. 176).

⁸ Mertens და Cahn, სააქციო საზოგადოებათა სამართლის კოლნის კომენტარები (2010: § 93 mn. 60, 88); Spindler, სააქციო საზოგადოებათა სამართლის მიუნხენის კომენტარები (2008: § 93 mn.92) მენეჯმენტის ბორდის წევრებისათვის; Hanersack, სააქციო საზოგადოებათა სამართლის მიუნხენის კომენტარები (2008: § 116 mn.43) სამეთვალყურეო საბჭო წევრებისათვის.

⁹ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 101(2).

¹⁰ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 101(1).

¹¹ გერმანიის ფედერალური სამართალი კრებული სამოქალაქო საქმეებზე, 106 54 at 65.

¹² კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 170(1).

¹³ იხილეთ ე.წ. *Heron International Ltd v. Lord Graude* [1983] BCLC 244, 5.11 (კომპანიათა აქტი); *Brady v. Brady* [1988] BCLC 20, 40 (კომპანიათა აქტი), რომელიც 26-ე თავშია წარმოდგენილი; *Ferran* (1999:134); *Davies* (2003:372).

¹⁴ აქვე უნდა განიმარტოს, რომ იმპერატიული სიტყვა „უნდა“ ასევე გამოიყენება მეორე წინადადების მიმართაც.

გებს, (ბ) მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებს, (გ) ურთიერთობებს მომწოდებლებთან, მომხარებლებთან და სხვებთან, (დ) გარემოს დაცვასა და მმართველობაზე ზეგავლენას, (ე) კომპანიის ეთიკურ რეპუტაციას და (ვ) ყველა წევრთან თანაბარი მოპყრობის პრინციპს.¹⁵ კოდიფიკაციები ზედამხედველობის მექანიზმებსაც ადგენს. ღია, საჯარო კომპანიათა დირექტორებმა წლიურ ანგარიშში უნდა წარმოადგინოს კომპანიის პოლიტიკის ძირითადი კონტურები მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების, გარემოსდაცვითი და ადგილობრივი მმართველობის ინტერესების ნახალისებისთვის და განსაზღვროს იყო თუ არა ეს პოლიტიკა ეფექტური.¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ კომპანიათა აქტი 2006 არ განსაზღვრავს ყველა საკითხს, რომელიც კორპორაციაში აქციონერთა გაზრდილი უფლებების ადვოკატირებით იქნა გამოხატული, მაინც იკვეთება, რომ ეს აქტი წარმოადგენს დირექტორთა მოვალეობების იმ ფორმას, რომელსაც პროფესორი მათიას სიმსი „გათვიცნობიერებული აქციონერის მოდელს“ უწოდებს.¹⁷

დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართლის მიხედვით, გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობა, რომელიც დირექტორს აქვს კორპორაციის მიმართ განმარტებულია პრაქტიკული მიზნებისათვის როგორც მოვალეობად ემსახურონ აქციონერთა ინტერესებს,¹⁸ ასევე კრედიტორებს, როცა კომპანია გადახდისუნარობის საქმის წარმოების პროცესში გადადის.¹⁹ მოდელური კანონის გამოხატული დებულება, რომ დირექტორი „მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებისთვის“ განიმარტა, რომ „დირექტორი წარმოადგენს ფიდუციურ მოვალეობებს კომპანიისა და მისი აქციონერების მიმართ“²⁰ და განიმარტა მოვალეობად, რომ „ნაახალისოს აქციონერთა ინტერესები.“²¹ თუმცა, უნდა აღინიშნოს, 1980-იან წლებში დესტრუქციული (გამანადგურებელი) დაუფლებითი ბრძოლების შედეგად, აშშ-ის ზოგიერთმა შტატმა მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ინტერესებისა და ნაკლები ინტერესით ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მიიღო „კლიენტთა“ კანონები, რომლებიც მოქმედებდნენ კომპანიათა აქტი 2006-ის მსგავსად და ნებას რთავდა დირექტორებს მხედველობაში მიეღო მუშა-მოსამსახურეთა, მომწოდებელთა, მომხარებელთა და ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესები, რომელზეც გადანყვეტილების მიღებისას კომპანიის ოპერაციული საქმიანობა ზეგავლენას ახდენს.²² თუმცა, ადრინდელი ნორმატიული აქტები ზოგადად არ შეიცავს რაიმე ტიპის იმპერატიულ დათქმებს ამომრჩევლებთან (კლიენტებთან) დაკავშირებით, როგორც ეს კომპანიათა აქტშია, ისინი ნებას რთავენ, რომ დირექტორებმა გამოიყენონ ტრანზაქციის ყველა ასპექტი ისე, რომ ისინი ამისათვის აქციონერთა მხრიდან ფიდუციურ ვალდებულებათა დარღვევისთვის სასამართლოს წინაშე არ წარდგენენ.

ერთი შეხედვით ჩანს, რომ დირექტორთა ფიდუციურ მოვალეობათა ადრესატის გარშემო გამართული დებატები ხშირად უსაფუძვლოდ არის ქცეული იდეოლოგიური ან პოლიტიკური დაპირისპირების საგნად კაპიტალსა და შრომას ან მოგებასა და გარემოსდაცვას შორის. მიღებული და დასაბუთებულია, რომ თუ კორპორაცია უპირატესად აქციონერთა ინტე-

¹⁵ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 172(1).

¹⁶ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 417(5)(ბ).

¹⁷ Siems (2008: 179).

¹⁸ Aronson, et al v. Lewis, 473 A 2d 805 (დელავერი 1984).

¹⁹ იხილეთ Credit Lyonnais Bank Nederland NV v. Pathe Communications Corp., 1991 WL 277613 (დელავერი 1991).

²⁰ Central Iowa Power Co-op. v. Consumers Energy, 741 NW 2d 822 (2007).

²¹ Storetrax.com, Inc. v. Gurland, 915 A 2d 991, 1000 (2007).

²² პემსილვანიაშ გააერთიანა კანონები, ბ ქვეთავი, ბიზნეს კორპორაციები, ბ მუხლი, §1716, რომელიც მიიღო 1990 წელს.

რესებში იმართება (თეორია, რომლის მიხედვითაც დირექტორის მოვალეობები აკისრიათ უპირატესად აქციონერთა მიმართ) და ასეთი მოდელი მის ტრიუმფშია, მაშინ მუშა-მოსამსახურეები, გარემოსდაცვა და ადგილობრივი თვითმმართველობა გარკვეულ ზიანს განიცდის. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა სამართლებრივი პრობლემის ერთი და იგივე მეთოდით გადაჭრა არ შეიძლება. მე შემიძლია უბედურ შემთხვევას გზაჯვარედინზე ხელი შევუშალო პოლიციის თანამშრომლის გზების კვეთაზე დაყენებით, ხმოვანი სიგნალის დამონტაჟებით, გაჩერების აღმნიშვნელის დაყენებით ან თუნდაც გადასასვლელი ხიდის აშენებით ისე, რომ ორი გზა ერთმანეთს ხელს აღარ შეუშლის კვეთის პროცესში. საკორპორაციო სამართალში როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა მართვისა და ზედამხედველობის მეთოდები (როგორიცაა ნესები და სტანდარტებია) გამოიყენება განსხვავებული შედეგების დადგომისათვის. იძულება საერთო კონტექსტით შეიძლება გადანაწილდეს სხვადასხვა მონაწილეზე იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მორჩილება ან ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების იძულება. მაგალითად, თუ მოცემული კომპანია დომინირებს მის მომწოდებლებზე (როგორც ეს საავტომობილო ინდუსტრიის კომპანიების მიერ საბურავების კომპანიათა მიმართ ხორციელდება ხოლმე), დირექტორებს უნდა გააჩნდეთ გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა მომწოდებლებთან მიმართებით, რომელმაც მომწოდებლებს შესაძლოა მისცეს შესაძლებლობა დირექტორის მიერ აღნიშნული მოვალეობის დარღვევის გამო მოითხოვონ ხელშეკრულების შეწყვეტა. თუმცა, ვითარების ასეთი გადანაწილება მომწოდებლებისთვის საუკეთესო გამოსავალი ნამდვილად არ იქნება. რეალურად, ნებისმიერი სარჩელი მოვალეობის დარღვევის წინააღმდეგ შეტანილი იქნება მას შემდეგ, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შესახებ ფაქტი გასაჯაროვდება, რასაც უზრუნველყოფს საკორპორაციო სამართლით დადგენილი პროცედურები, რომ ან სამენარმეო გადანაწილებათა წესის გამოყენება ჩაერთვება მიღებული გადანაწილებების დასაცავად ან სასამართლო პროცესის შესაფასებლად, რის შედეგადაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბორდის გადანაწილებების შინაარსი და წარმოდგენილი მტკიცებულებები ხელშეკრულების რეალური არსის მიღმა დარჩება. მომწოდებლებთან დადებულ ხელშეკრულებაში სავალდებულო დათქმა, რომ ხელშეკრულება არ შეიძლება შეწყდეს რაიმე საფუძვლის გარეშე, უფრო კარგი დაცვის მექანიზმი იქნება მომწოდებლისთვის. როგორც აღინიშნა, მოვალეობათა გაფართოების სასარგებლო შედეგები, ამ კუთხით, ემსახურება დირექტორის დაცვას, რომ მის წინააღმდეგ არ დაიწყოს სასარჩელო წარმოება ერთი ჯგუფის ინტერესებში კომპანიის მართვისას სხვა ჯგუფის ინტერესების მხედველობაში მიუღებლობის გამო.

III. წესების გამოყენება ისეთ სიტუაციებში, როდესაც ერთგულების მოვალეობა ხშირად ირღვევა

კარგად ფუნქციონირებისათვის, წესები მოითხოვს, რომ პრობლემები უნდა შეიცავდეს სამომავლო სიტუაციების გამოვლინებებს. სიტუაციები, სადაც დირექტორს აქვს მაღალი ალბათობის შესაძლებლობა არალოიალურად იმოქმედოს, განმარტავს წესებს, რომელიც შეიძლება დადგინდეს სამომავლოდ, რომელიც ასეთი მოვალეობის დარღვევის რისკს შეამცირებს. ასეთი სიტუაციები ყოველთვის შეიცავს ინტერესთა კონფლიქტს და მსგავს გამოწვევებს ყველა ჩვენ სამივე იურისდიქციაში. გარდა ისეთი მარტივი საქმეებისა, როგორიცაა უბრალოდ მოპარვა, ან ფულის მითვისება ან გაფლანგვა, ან კომპანიის მატერიალური აქტივის

მითვისება (როგორც არის ისეთი შემთხვევა, როცა კვირის უქმეებზე გოლფის თამაშისთვის კორპორაციის სატრანსპორტო საშუალებით ისარგებლო), სიტუაციები, სადაც ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა არის შემდეგი ტიპები:

1. დირექტორს აქვს პირადი ინტერესი ტრანზაქციაში, რომელსაც დებს კორპორაცია (საკუთარ-თავთან დადებული გარიგება), რომელმაც შემდეგიდან ერთ-ერთი სახე შეიძლება მიიღოს:
 - (a) ტრანზაქციაში დირექტორი ხელშეკრულების მეორე მხარესაც წარმოადგენს, როგორც აღმასრულებელი პირის ანაზღაურების შემთხვევა, ქონების მიყიდვის ან სესხის აღების შემთხვევებია და
 - (b) როდესაც დირექტორი იღებს ანაზღაურებას ტრანზაქციის წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამო, როგორც არის თანხა, რომელსაც იხდის მესამე პირი ან გათავისუფლებისას გადახდილი თანხა და წარმატებული შერწყმის განხორციელების გადახდილი ნახალისების თანხა.
2. დირექტორი კომპანიასთან მიმართებით შედის კონკურენტულ მდგომარეობაში, რომელმაც შეიძლება მიიღოს შემდეგი ფორმებიდან ერთ-ერთი სახე:
 - (a) დირექტორს საკუთრებაში აქვს ან მართავს კონკურენტ სამეწარმეო საქმიანობას, ან
 - (b) დირექტორი პირადი გამოყენების მიზნით ითვისებს კომპანიის ძალიან ღირებულ კორპორაციულ შესაძლებლობას.

თითოეულ სიტუაცია ჩვენ განსახილველ ყველა იურისდიქციაში შეიძლება წარმოიშვას. პირველი კატეგორია დირექტორს იწვევს მიიღოს გადაწყვეტილება და ამგვარად გულისხმობს, რომ დირექტორის მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულება შეიძლება იყოს მიკერძოებული, როცა საკითხი წყდება მისი კომპენსაციის შესახებ, როდესაც დღის წესრიგში დგას ანაზღაურების სიდიდე, სესხის ხელშეკრულების პირობების დადგენისას, რომელიც მან უნდა მიიღოს, მის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულების განსაზღვრისას, რომელიც მან კომპანიას უნდა მიჰყიდოს ან შერწყმის შეთავაზების მომხიბვლელობის დადგენისას, რომელიც ან მის ძალაუფლებას გაზრდის ან დატოვებს მას სამსახურის გარეშე. მეორე სიტუაცია დირექტორს იწვევს მიიღოს გადაწყვეტილება ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ დირექტორს მისი კომპანიის მართვიდან გამომდინარე აქვს განსაკუთრებული ცოდნა არსებული მდგომარეობის შესახებ, მას შეუძლია ასეთი ინფორმაცია პირადი სარგებლის მისაღებად გამოიყენოს, რადგან დირექტორი შეიძლება იყოს პირველი პირი, რომელიც ასეთი შესაძლებლობის შესახებ შეიტყობს და გამოიყენოს ასეთი შესაძლებლობა მანამ, სანამ თავად კომპანია შეიტყობდეს მაინც ამის თაობაზე რაიმეს. თითოეული ზემოაღნიშნული ტრანზაქცია ჯდება დირექტორის ერთგულების მოვალეობაში, მაგრამ ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს აკრძალვა ან *ex ante* წესი, რომელიც გულისხმობს პირად ინტერესებში გადაწყვეტილების მიღების პროცესის დეზინფექციას. კორპორაციული მართვის სტრატეგია, როგორც ზემოთ იქნა განხილული, დამოკიდებულია მოქნილობისა და წინასწარგანსაზღვრულობის სურვილზე.

IV. ერთგულების მოვალეობა

A. გერმანია

1. ერთგულების მოვალეობის წყარო და ბუნება. გერმანიის ძირითადი თავისებურება არის ის, რომ იქ არის ორი განსხვავებული ბორდი და ორი განსხვავებული ტიპის დირექტორი: ზედამხედველი დირექტორები და მმართველი დირექტორები.²³ მათ მიერ დაკავებული პოზიციების სხვადასხვაობიდან გამომდინარე მათი ერთგულების მოვალეობათა გამოყენების საფუძვლები ერთგვარად განსხვავებულია. გერმანიის სააქციო კანონის 93-ე და 116-ე პარაგრაფები ადგენს გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობასა და ერთგულების მოვალეობის ერთ ელემენტს. გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისგან როგორც გამგეობაში, ისე სამეთვალყურეო საბჭოში, აკმაყოფილებდნენ „გონივრული და წინდახედული მენეჯერის“ მოთხოვნას.²⁴ როგორც *ეირაგის* საქმეში იქნა ახსნილი მე-13 თავში, გერმანული სასამართლო მენეჯმენტს დაუტოვებს გარკვეული ოდენობის თავისუფალ დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაგრამ არა მეორეხარისხოვანი სამეწარმეო გადაწყვეტილებათა და არც იმ სტანდარტის მიმართ, რომელიც დერივაციული სარჩელის შესახებ გადაწყვეტილებას ეხება. ერთგულების მოვალეობის ელემენტი არის მოთხოვნა, რომ ყველა დირექტორი, რომელიც ფლობს ინსაიდერულ ინფორმაციას, ვალდებულია შეინახოს ის საიდუმლოდ.²⁵ კანონი ასევე ადგენს ერთგულების მოვალეობის გარკვეულ სტანდარტს გამგეობის წევრთა მიმართ: ისინი არ შეიძლება კონკურენციაში შევიდნენ კომპანიასთან.²⁶

ერთგულების მოვალეობის ზოგადი სტანდარტი პირდაპირ კი არ არის გერმანული კანონით გაწერილი, არამედ ექსტრაპოლირებულია გერმანული სასამართლოებისა და სწავლულების მიერ დირექტორის იმ პოზიციიდან, რომელსაც ის ფლობს და დავალებებიდან, რომელსაც მას სთხოვენ, რომ შეასრულოს.²⁷

2. წესების გამოყენება. გერმანიის სააქციო კანონი პირდაპირ არეგულირებს წესებით ხუთი კონფლიქტის შემცველ სიტუაციას ნორმატიულ დონზე:

1. როგორც უკვე აღინიშნა, ყველა დირექტორი ვალდებულია კონფიდენციალობის დაცვის კონტექსტში.²⁸
2. ასევე, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გამგეობის წევრები კომპანიასთან კონკურენციაში არ უნდა შედიოდნენ.²⁹ არც ერთი მსგავსი ნორმა არ არის დადგენილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის, რადგან ისინი შესაძლოა ძალიან კარგად ასრულებდნენ ბორდის წევრობას შეთავსებით სამუშაოდ და იმავდროულად კონკურენტ კომპანიაში

²³ უნდა გვახსოვდეს, რომ დანარჩენი ორი იურისდიქცია დირექტორებს აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებად ყოფს, ან მოწვეულ და შიდა დირექტორებად, როდესაც კომპანია კაპიტალის ბაზრის ლისტიგშია გატარებული მაშინაც კი, თუ ისინი არ ქირაობენ ორ განსხვავებულ ბორდს, როგორც ეს კანონით არის გაწერილი.

²⁴ გერმანიაში დირექტორის დეტალური რეგულაციების შესახებ იხილეთ Baums (1996).

²⁵ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 88.

²⁶ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §§ 93(1), 116.

²⁷ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §§ 93(1), 116; Mertens და Cahn, სააქციო კანონის კოლნის კომენტარები (2010: § 93 mn. 88 და მომდევნო.); Habersack, სააქციო კანონის მიუნხენის კომენტარები (2008: §116 mn. 52 და მომდევნო.).

²⁸ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, §§ 93(1), 116.

²⁹ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 88.

- მსახურობდნენ როგორც დირექტორები.³⁰ ამგვარად, სასამართლომ უნდა შეავსოს ის სარეგულაციოდ დატოვებული სივრცე, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დაუშაბუთებლად კონკურენციაში შესვლას უკავშირდება ერთგულების მოვალეობის სტანდარტის საფუძველზე.
3. რომელიმე ორგანოს წევრისათვის სესხის გაცემა უნდა განხორციელდეს კანონით სპეციალურად დადგენილი მონონების პროცედურების გზით. სესხის ხელშეკრულების ყველა პირობა, რომლითაც გამგეობის წევრებს მიეცემათ კომპანიისგან სესხი ცალ-ცალკე უნდა იქნეს მონონებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მინიმუმ სამი თვით ადრე, ვიდრე სესხი გაიცემა.³¹ სამეთვალყურეო საბჭომ ზუსტად იგივე პროცედურების მეშვეობით უნდა მოიწონოს სესხი, რომელიც მიეცემა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.³²
 4. როდესაც გამგეობის წევრთა ანაზღაურების სასამსახურე ხელშეკრულება გადის მოლაპარაკების სტადიას, სამეთვალყურეო საბჭო ბორდის წევრებთან ურთიერთობაში წარმოადგენს კომპანიას, რათა დეზინფექცია გაუკეთოს ყველა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს მოლაპარაკების პროცესში,³³ მაშინ, როცა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება მონონებულ უნდა იქნეს ან აქციონერთა საერთო კრების მიერ ან წესდებით უნდა იქნეს განსაზღვრული.³⁴
 5. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მის, როგორც დირექტორის აქტივობასთან დამატებით კომპანიასთან კონსულტირების ან მსგავსი მომსახურების განევის შეთანხმებაში შესვლას დააპირებს, ასეთი შეთანხმება მთლიანმა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა დაამტკიცოს.³⁵

გერმანიის სამართალში გამოყენებული წესების სტრუქტურა ანალოგიურია გაერთიანებულ სამეფოსა და აშშ-ში გამოყენებული წესებისა. არალოიალურობა მონმდება (1) მოთოვნიტ, რომ დირექტორმა თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქნას (აქ, მაგალითად, კონკუნციის აკრძალვა) და (2) სადაც შესაძლებელი არ იქნება ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის პრაქტიკული აკრძალვა (როგორც საქმე აღმასრულებელ პირთა ანაზღაურებას ეხება), მაშინ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს დაუინტერესებელი, დამოუკიდებელი პირებით ფორმირებული ჯგუფის მიერ.

3. სტანდარტის გამოყენება. წესებს შორის რჩება შუალედი – როგორიც არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ შექმნილი კონკურენცია ან ჩვეულებრივი სავაჭრო ხელშეკრულებები კომპანიასა და დირექტორს შორის – და ისინი გადაფარულია ნორმალური მმართველობითი პროცედურებით სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გამგეობის წევრებთან დასადებ ხელშეკრულებებში კომპანიის წარმომადგენლობისა და ერთგულების მოვალეობის ჩათვლიტ. ერთგულების მოვალეობა აღწერილია, როგორც „კომპანიის ინტერესებთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით არსებულ მოვალეობად, რომელიც მხოლოდ კომპანიის კეთილდღეობისკენ უნდა იყოს მიმართული და გამორიცხავდეს თავად დირექტორის ან

³⁰ Hopt და Roth, სააქციო კანონის დიდი კომენტარები (2005: § 116 mn. 193).

³¹ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 89 (1),(3).

³² გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 115(1), (3).

³³ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 112.

³⁴ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 113.

³⁵ გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 114.

ნებისმიერი მესამე პირის ინტერესების ჩართვას.³⁶ თუ აღმოჩნდება, რომ დირექტორმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კომპანიის საუკეთესო ინტერესებში არ ჯდება, ის კომპანიის წინაშე მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს.³⁷ ნებისმიერი ტრანზაქცია, რომელიც დირექტორი სამართლებრივ ურთიერთობაში შედის კომპანიასთან უნდა იყოს სამართლიანი და „ხელის გაწვდენის სიგრძის“ (მოლაპარაკებადაქვემდებარებული) პირობებით.³⁸ გამგეობის წევრებმა შეიძლება მიითვისონ ის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება კომპანიამ გამოიყენოს³⁹ და სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა შეიძლება არ მიითვისოს კომპანიის ის შესაძლებლობა, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა კომპანიის დირექტორად ყოფნის დროს.⁴⁰ თუ კომპანია ან აქციონერი დირექტორის ასეთ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს და დაამტკიცებს, რომ ასეთი გადაწყვეტილებით კომპანიას მიაღდა ზიანი, დირექტორს მოუწევს იმის მტკიცება, რომ ის მოქმედებდა მისთვის წაყენებული გულმოდგინების სტანდარტების დაცვით, რათა არ დამდგარიყო მისი პასუხისმგებლობის საკითხი.⁴¹ დელავერისგან განსხვავებით, სამეწარმეო გადაწყვეტილებათა წესი⁴² არ ქმნის დირექტორის სასარგებლოდ რაიმე ტიპის პრეზუმფციას.⁴³ გერმანიის სასამართლოებს ძალიან ცოტა გადაწყვეტილება აქვთ გამოტანილი დირექტორის ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებით, რადგან სტრუქტურული წესები ადგენენ საკუთარ თავთან დადებული ხელშეკრულებებისგან დაცვის კარგ საშუალებებს, მაგრამ ძირითადად ეს განპირობებული იყო სასარჩელო წარმოების პროცედურული სირთულეებით, რომელიც ისტორიული კანონზომიერებიდან მომდინარეობდა.⁴⁴ ამასთან, შესაძლებელია, რომ დირექტორის ქმედება მისი მხრიდან ფიდუციური ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ ზიანში დაზღვეულ იქნეს (ე.წ. დირექტორისა და მენეჯერის დაზღვევის ინსტიტუტი).

B. გაერთიანებული სამეფო

1. ერთგულების მოვალეობის წყარო და ბუნება. როგორც ზემოთ აღინიშნა, გაერთიანებულმა სამეფომ ახლახანს მოახდინა დირექტორთა მოვალეობების კოდიფიცირება, რომელიც წლების განმავლობაში საერთო სამართლის სისტემაში ვითარდებოდა და ნაწილობრივ ადრინდელ კანონებში კოდიფიცირებულიც კი იყო – კომპანიათა აქტი 2006-ის მე-10 ნაწილი.⁴⁵ ყველაზე ავტორიტეტული განმარტება საერთო სამართლის სისტემაში იყო ის, რომ დირექტორი უნდა მოქმედებდეს „კეთილსინდისიერად“ და „კომპანიის ინტერესებისათვის“.⁴⁶ აღ-

³⁶ Hopt, სააქციო კანონის დიდი კომენტარები (1999: § 93 mn. 145); იხილეთ ასევე, Mertens და Cahn, სააქციო კანონის კიოლნის კომენტარები (2010: § 93 mn. 88).

³⁷ Mertens და Cahn, სააქციო კანონის კიოლნის კომენტარები (2010: § 93 mn. 50); და Habersack, სააქციო კანონის მიუნხენის კომენტარები (2008: §116 mn. 67).

³⁸ Hopt და Roth, სააქციო კანონის დიდი კომენტარები (2005: § 116 mn. 180 და მომდევნო).

³⁹ Mertens და Cahn, სააქციო კანონის კიოლნის კომენტარები (2010: § 93 mn. 98).

⁴⁰ Habersack, სააქციო კანონის მიუნხენის კომენტარები (2008: §116 mn. 47); Hopt და Roth, სააქციო კანონის დიდი კომენტარები (2005: § 116 mn. 194).

⁴¹ Baums, (1996:321); Mertens და Cahn, სააქციო კანონის კიოლნის კომენტარები (2010: § 93 mn. 131 და მომდევნო).

⁴² გერმანიის სააქციო საზოგადოებათა შესახებ კანონი, § 93(1).

⁴³ Mertens და Cahn, სააქციო კანონის კიოლნის კომენტარები (2010: § 93 mn. 36).

⁴⁴ Baums, (1996:322). პირდაპირი და დერივაციული სარჩელის პროცედურული საკითხები კომპანიის მენეჯმენტის წინააღმდეგ დეტალურად იქნება განხილული მე-20 თავში.

⁴⁵ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 170(3), (4).

⁴⁶ იხილეთ: *Re Smith and Fawcett Ltd*, [1942] Ch 304, 306 (CA); *Brady v. Brady* [1989] AC 755 (HL).

ნიშნული გარკვეულწილად მოდიფიცირებულ იქნა კომპანიათა შესახებ კანონი 2006-ის 172-ე ნაწილში, რომელმაც მოთხოვნად დაადგინა, რომ ინგლისური კომპანიის დირექტორი „ხელს უნდა უწყობდეს კომპანიის წარმატებას“, რომელიც (ეს წესი) უფრო მოგების ზრდაზე ორიენტირებულ წესად გვევლინება ვიდრე მისი წინამორბედი, მაგრამ მნიშვნელოვანწილად ზღუდავს აქციონერების გარდა სხვა პირთა ინტერესების მხედველობაში მიღებას. ეს ბაზისური სტანდარტი ძალმოსილია საკანონმდებლო სტანდარტების მეშვეობით, რომელიც დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელების მოვალეობას ქმნის,⁴⁷ იყენებს გონივრულ გულმოდგინებას, კვალიფიკაციასა და გულისხმიერებას⁴⁸ და თავიდან ირიდებს ინტერესთა კონფლიქტს (გარდა კომპანიასთან ან მის მოწყობასთან დაკავშირებული ტრანზაქციებისა)⁴⁹ და საკანონმდებლო წესების მეშვეობით, რომელიც დირექტორისგან მოითხოვს ნებისმიერი სარგებლის მიღების უარყოფას, რომელიც მან შესაძლოა მესამე პირისგან მიიღოს კომპანიის დირექტორად ყოფნის დროს⁵⁰ და მოითხოვს შემოთავაზებულ ტრანზაქციასა თუ პროცესში მისი რაიმე ინტერესის არსებობის თაობაზე ინფორმაციის გაცხადებას.⁵¹ ამ კუთხით, ყველა სტანდარტი, რომელიც დირექტორის მოვალეობებს ქმნის, ინკორპორირებულია კომპანიათა აქტი 2006-ში.

გაერთიანებული სამეფოს სამართლის საინტერესო სახასიათო თავისებურება, რომელიც არ ახასიათებს ჩვენ დანარჩენ ორ იურისდიქციას, არის „ჩრდილში მდგომი დირექტორის“ კონცეფცია. „ჩრდილში მდგომი დირექტორი“ არის პირი და არა კორპორაცია ან ვინმე მრჩეველი, რომელიც კომპანიის დირექტორებს აძლევს „მიმართულებებსა და ინსტრუქციებს“, რომელთა განხორციელებას დირექტორი თანდათანობით „ეჩვევა“.⁵² დირექტორების მიმართ გამოყენებადი ბევრი დებულება ასევე გამოიყენება „ჩრდილში მდგომი დირექტორის“ მიმართ, მათ შორის მოვალეობების კონტექსტში.⁵³

2. წესების გამოყენება. მიუხედავად იმისა, წესები გამოიყენება *ex ante* ქმედებების პრევენციულობისათვის, რომელიც ერთგულების მოვალეობას არღვევს თუ ემსახურება ნათელი საზღვრის შექმნას თუ როდის აქვს ადგილი ვალდებულების დარღვევას, მაინც იკვეთება, რომ კომპანიათა აქტი 2006-ის 177-231 ნაწილებში წარმოდგენილი წესების ფართო ქსელი წერტილს დაუსვამს ერთგულების მოვალეობის *ex post* გამოყენებასთან დაკავშირებულ ძირითად გაურკვევლობას. წესები მოიცავს ყველა შემთხვევას, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა:

1. დირექტორსა და კომპანიას შორის დადებული სასამსახურე ხელშეკრულება, რომლის ვადა აღემატება ორ წელს დამტკიცებულ უნდა იქნეს აქციონერთა საერთო კრების მიერ ხელშეკრულების ყველა პირობის სრული გახსნილობის რეჟიმში.⁵⁴
2. დირექტორმა შეიძლება არ მიიღოს რაიმე ტიპის სარგებელი სხვა პირისგან, გარდა იმ კომპანიისა, რომელშიც მუშაობს როგორც დირექტორი.⁵⁵

⁴⁷ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 173(1).

⁴⁸ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 174(1).

⁴⁹ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 175.

⁵⁰ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 176(1).

⁵¹ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 177(1).

⁵² კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 251.

⁵³ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 170(5); Ferran (1999: 155-156).

⁵⁴ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 188.

⁵⁵ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 176.

3. დირექტორმა თავი უნდა აარიდოს არსებულ ან პოტენციურ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მდგომარეობას, რომელიც ქმნის ან შესაძლოა წარმოშოს ინტერესთა კონფლიქტი კომპანიასთან მიმართებით (როგორც არის კომპანიის ქონების გამოყენება ან მისი შესაძლებლობის მითვისება) – ყოველგვარი გარემოების გამორიცხვით, რომელიც დაკავშირებულია მოლაპარაკებადაქვემდებარებულ ღირებულებასთან ან ტრანზაქციასთან ან კომპანიის სხვაგვარ მოწყობასთან, თუ ასეთი მდგომარეობა დამოუკიდებელი დირექტორების მიერ არ არის მოწონებული, როგორც ეს წესდებაშია ნებადართული.⁵⁶
4. თუ დირექტორს აქვს ინტერესი, რომელსაც შეუძლია წარმოშოს ინტერესთა კონფლიქტი „შემოთავაზებულ ტრანზაქციასთან ან სხვაგვარ მოწყობასთან მიმართებით“, მან ამის შესახებ აუცილებლად უნდა შეატყობინოს სხვა დირექტორებს მანამ, სანამ კომპანია ასეთ ტრანზაქციას დადებს.⁵⁷
5. მიუხედავად ზემოაღნიშნული წინდახედულობისა, არანაირი შეძენის თუ ნასყიდობის ხელშეკრულება „არაფულად ძირითად აქტივებზე“⁵⁸ კომპანიასა და დირექტორს შორის არ შეიძლება დაიდოს აქციონერთა მიერ დამტკიცების გარეშე.⁵⁹
6. რამდენიმე მცირე გამონაკლისით, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის ხარჯებით იფარება, კომპანიამ შეიძლება არ მისცეს დირექტორს სესხი აქციონერთა მხრიდან მოწოდებისა და სესხის ხელშეკრულების პირობების სრული გახსნილობის რეჟიმის გარეშე.⁶⁰
7. საჯარო კომპანიამ შესაძლოა არ გაუწიოს თავდებობა ან სხვა საკრედიტო დახმარება („კვაზი-სესხი“) დირექტორს აქციონერთა მხრიდან მოწოდებისა და სესხის ხელშეკრულების პირობების სრული გახსნილობის რეჟიმის გარეშე;⁶¹ ანალოგიურად, ის შეიძლება არ შევიდეს საკრედიტო ტრანზაქციაში აქციონერთა მხრიდან მოწოდებისა და სრული გახსნილობის რეჟიმის გარეშე.⁶²
8. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, რომელმაც მიმდინარე ტრანზაქციის დასრულება უნდა განაპირობოს დადგენილი მოწოდების გარეშე აკრძალულია.⁶³ ძირითადი ქონების შეძენის ან გაყიდვის, სესხის, კვაზი-სესხი და საკრედიტო ურთიერთობების შესახებ წესები ასევე ფარავს ამ კომპანიის ჰოლდინგური კომპანიის დირექტორთან ურთიერთობა და ასევე ფარავს ყველა პირთან ურთიერთობას, რომელიც ამ ჰოლდინგურ კომპანიასთან არის დაკავშირებული.
9. კომპანიამ შესაძლოა არ გადაუხადოს რაიმე მის დირექტორს ან ჰოლდინგური კომპანიის დირექტორს სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში (მომსახურების ან გათავისუფლების თანხა ან „ოქროს ხელისჩამორთმევა“ აქციონერთა მხრიდან მოწოდებისა და გადახდის პირობების სრული გახსნილობის რეჟიმის გარეშე.⁶⁴

⁵⁶ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 175.

⁵⁷ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 177. ცალკე დებულება არეგულირებს მდგომარეობას, როდესაც კომპანიას უკვე დადებული აქვს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ტრანზაქცია. იხილეთ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 182.

⁵⁸ „ძირითადი“ ქონება განიმარტება იმ აქტივად, რომელიც კომპანიის ქონებრივი ღირებულების 10 პროცენტსა და £5, 000 აღემატება, ან £100,000 აღემატება. იხილეთ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 191(2).

⁵⁹ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 190(1).

⁶⁰ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 197(1).

⁶¹ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 198(1),(2).

⁶² კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 201, 202.

⁶³ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 203.

⁶⁴ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 217.

დანარჩენი წესები არათუ ფარავს განჭვრეტად ყველა შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს, არამედ ასევე მოიცავს თანმხლები ტერმინების განმარტებებსაც, რომელიც შეიძლება გაურკვეველი და ორაზროვანი იყოს (მაგალითად, „ძირითადი, მნიშვნელოვანი“⁶⁵ ან „ღირებულება“⁶⁶) და მოიცავს გამონაკლისთა ფართო წრეს, რომელიც ნებადართულსა და აკრძალულს შორის დარღვეულ საზღვრებს აღადგენს, რომელ სტანდარტებსაც სასამართლოს გადაწყვეტილებების მოქნილი ნაწილი იყენებს და სთავაზობს სამენარმოე საქმიანობის დაგეგმვის ორგანიზატორებს.

3. სტანდარტების გამოყენება. კომპანიათა აქტი 2006-ის მიერ დირექტორთა ფიდუციურ ვალდებულებათა კოდიფიკაციამდე, სასამართლოები იყენებდნენ ერთგულების მოვალეობის სტანდარტს დირექტორთა მოთხოვნის საფუძველად, რომ მათ „უნდა ემოქმედათ კეთილსინდისიერად“ და „კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით“ და განმარტავდა ყოველი საქმის გარემოებიდან გამომდინარე, იყო თუ არა ეს სტანდარტი სახეზე. მოქნილობა და მისი თანმდევი გაურკვეველობა აგებულია ორ სიტყვაზე, როგორც „კეთილსინდისიერება“ და „ინტერესია“. კომპანიათა აქტი 2006-ის დებულების გამოყენების გადამისამართება მოხდა უკვე არსებულ (მიღებულ) გადაწყვეტილებებთან მიმართებით და იყენებს განმარტებებისა და გამონაკლისების ფართო სპექტრს იმისათვის, რომ აღდგეს არეულ-დარეული რთული წესები, რომელიც ჩამოყალიბდა არსებული სამოსამართლო სამართლის მიერ. უფრო მეტიც, დარღვევის სამართლებრივი შედეგები ახლა უკვე დეტალურად არის განერილი კომპანიათა აქტი 2006-ის დებულებებში, რომელიც გამოიყენება არსებული მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში.⁶⁷ მაგალითად, ჩავიხედოთ რეგალის (ჰასტინგის) გადაწყვეტილებაში მომდევნო თავებში და შემდეგ გადავამოწმოთ ის კომპანიათა აქტი 2006-ის 175-ე ნაწილში. ფიქრობთ თუ არა, რომ კომპანიათა აქტი 2006-მა სრულად მოახდინა 1942 წლის გადაწყვეტილების კოდიფიცირება? როგორ ფიქრობთ, სასამართლოს კიდევ დარჩა თავისუფლად მოქმედების სივრცე მომავალ გადაწყვეტილებებში? ჩაიხედეთ კომპანიათა აქტი 2006-ის 203-ე ნაწილში.

მიუხედავად ამისა, აშშ-გან განსხვავებით, კომპანიამ შესაძლოა დირექტორის ინდემნიფიკაცია არ მოახდინოს მისი ვალდებულებების მიმართ, რომელიც მათ მოვალეობათა დარღვევას უკაშირდება,⁶⁸ ის შეიძლება უზრუნველყოფდეს ასეთი ვალდებულების დაზღვევას.⁶⁹

C. შეერთებული შტატები

1. ერთგულების მოვალეობის წყარო და ბუნება. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთგულების მოვალეობა ორ მოდელზეა აგებული. დელავერის სამართალმა ერთგულების მოვალეობა განავითარა სასამართლოებში, როგორც ეს დეკადების განმავლობაში ხდებოდა ინგლისურ სამართალში ვიდრე კოდიფიკაციამდე. მოდელური კანონი, მეორე მხრივ, დირექტორთა მოვალეობების კოდიფიცირებას ახდენს, თუმცა არა ისე ფართოდ, როგორც ამას კომპანიათა აქტი 2006 აკეთებს.⁷⁰ ერთგულების მოვალეობის დელავერის სასამართლოსეუ-

⁶⁵ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 191.

⁶⁶ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 211.

⁶⁷ იხილეთ. კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 178, 183, 185, 195, 213, 222.

⁶⁸ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 232.

⁶⁹ კომპანიების შესახებ 2006 წლის კანონი, ნაწილი 233.

⁷⁰ მოდელური კანონი, §8.30(ა) („დირექტორთა საბჭოს თითოეული წევრი, თავიანთი მოვალეობის შესრულებისას უნდა მოქმედებდნენ: (1) კეთილსინდისიერად და (2) იმგვარად, რომ დირექტორს გონივრულად სწამდეს, რომ მისი ეს ქმედება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება.“).

ლი ფორმულირება ძალიან ჰგავს გაერთიანებული სამეფოს სამართლის ფორმულირებას: დირექტორმა უნდა იმოქმედოს „კეთილსინდისიერი რწმენით, რომ მისი ეს ქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებშია განხორციელებული“.⁷¹ ეს პირველად გამოყენებულ იქნა ორიენტირის განმსაზღვრელ სასამართლო საქმეში 1939 წელს *გუთი ლოფთის წინააღდეგ*,⁷² რომელშიც მოყვანილია ქენდის კომპანიის დირექტორის მიერ კორპორაციული შესაძლებლობის პირადი სარგებლის მისაღებად გამოყენებისკენ და პეპსი-კოლას რეცეპტის შეძენის შემთხვევა. სასამართლომ განმარტა, რომ:

კორპორაციის მენეჯერი და დირექტორი უფლებამოსილი არ არიან მინდობილი თანამდებობა და კონფიდენციალობა გამოყენონ პირადი ინტერესებისათვის ... საჯარო მიდგომამ დაამკვიდრა წესი, რომელიც ითხოვს, რომ კორპორაციის ოფიცერი ან დირექტორი უნდა იყოს, იმპერატიულად და ურყევად, მისი მოვალეობის ყველაზე სკურპულოზური დაკვირვებით, და არა მხოლოდ მისი მოვალეობის ფარგლებში კორპორაციის ინტერესების აფირმატიულად დამცავი, არამედ მან თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ზიანს მიაყენებს კორპორაციას, ან შეუზღუდავს მას მოგების მიღებასა თუ უპირატესობას, რომ მისი კვალიფიკაცია და შესაძლებლობა სწორად გამოიყენოს ასეთი მოგების მისაღებად, ან მისცემს მას უფლებამოსილების გონივრულად და სამართლებრივად სწორად გამოყენების შესაძლებლობას. წესი, რომელიც განუყოფელ და უანგარო ერთგულების მოვალეობას მოითხოვს კორპორაციის მიმართ, ასევე მოითხოვს, რომ სახეზე არ იყოს მოვალეობა და საკუთარ თავთან დადებულ გარიგებას შორის ინტერესთა კონფლიქტი.⁷³

აღმოჩნდა, რომ ეს მოვალეობა ეკუთვნის ორივეს, როგორც კორპორაციას, ისე მის აქციონერებს და არ განიხილავს აქციონერთა ინტერესებს კორპორაციის ინტერესებისგან განცალკევებულად.⁷⁴ ერთგულების მოვალეობის სუბსიდიური (დაქვემდებარებული) ელემენტია ის, რომ დირექტორმა არ უნდა იმოქმედოს არაკეთილსინდისიერად, ე.ი. ის, რომ მათ „არ უნდა იმოქმედონ კომპანიის კეთილდღეობის მიღწევის ნამდვილი მიზნის გარდა სხვა მიზნით ან [ტრანზაქციის დროს] თუ ცნობილია, რომ გამოყენებადი პოზიტიური სამართალი დარღვევამდე მიიყვანს“.⁷⁵

2. წესების გამოყენება. დელავერის სამართალი ნამდვილად მინიმალისტურია გერმანული და გაერთიანებული სამეფოს სამართალთან შედარებით. ის გვათავაზობს მხოლოდ ერთ წესს, რომელიც ადგენს, რომ „გარიგება ან ტრანზაქცია კორპორაციასა და მის ერთ ან რამდენიმე დირექტორის შორის [ან იმ გაერთიანებასთან, რომელშიც ეს პირი მსახურობს როგორც დირექტორი ან ეკუთვნით მათ ეს გაერთიანება] დაცულია რაიმე ტიპის სხვა ინტერესისაგან თუ „მატერიალური ფაქტები“ მოცემულ ინტერესთან დაკავშირებით გახსნილია და ტრანზაქცია არის ან (1) დამტკიცებულია დამოუკიდებელ, დაუინტერესებელი დირექტორების ან აქციონერთა უმრავლესობის მიერ კეთილსინდისიერად, ან (2) სამართლიანია კორპო-

⁷¹ *Stone, ex rel. AmSouth Bancorporation v. Ritter*, 911 A 2d 362, 370 (2006), ციტირებულია: *Gutman v. Huang*, 823 A 2d 492, 506 შენიშვნა 34 (დელავერის სასამართლო 2003).

⁷² *Guth v. Loft, Inc.*, 5 A 2d 503, 510 (დელავერი 1939).

⁷³ *Guth v. Loft, Inc.*, 5 A 2d 503, 510 (დელავერი 1939).

⁷⁴ *Cede & Co. v. Technicol, Inc.*, 634 A 2d 345, 361 (დელავერი 1993) („კორპორაციის საუკეთესო ინტერესები და მისი აქციონერების ინტერესები. . . ფარავს ნებისმიერ ინტერესს, რომელიც დირექტორს აქვს“).

⁷⁵ *In Re the Walt Disney Company Derivative Litigation*, 907 A 2d 693, 753 (2005), ციტირებულია: *Gagliardi v. Trofoods International Inc.*, 683 A 2d 1049, 1051 შენიშვნა 2 (დელავერის სასამართლო 1996)(ხაზგასმულია ორიგინალში).

რაციისთვის, რომელიც ტრანზაქციის დადების ან ავტორიზების მომენტისთვის იყო ასეთი“.⁷⁶ მოდელური კანონი უფრო კომპლექსურ წესებს შეიცავს, მაგრამ მათი ეფექტი ფაქტიურად იგივეა: ინტერესის შესახებ ინფორმაციის გახსნილობა და დაუინტერესებელი დირექტორების მიერ მისი მოწონება ინტერესთა კონფლიქტს სანიტარიზაციას უკეთებს.⁷⁷ არც ერთი რეგულაცია არ შეიცავს დირექტორის ანაზღაურების, კორპორაციული შესაძლებლობის გამოყენების ან კორპორაციასთან სხვაგვარად კონკურენციაში შესვლის შესახებ რაიმე სპეციფიკურ დათქმას და დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართალი პირდაპირ ამბობს, რომ „კორპორაციას შეუძლია ასესხოს, მისცეს თავდებობა ნებისმიერ ვალდებულებებაზე ... ნებისმიერ მენეჯერსა თუ დაქირავებულს, რომელიც ამ კორპორაციის დირექტორია“.⁷⁸ აშშ-ის სამართალი ასეთი მაქსიმალური მოქნილობით დაწყებული, ტოვებს რა დირექტორს აბსოლუტურად თავისუფალ ფარგლებში კორპორაციასთან მსგავსი ხელშეკრულების დადების რეჟიმის დროს, ურთიერთობას ზღუდავს მხოლოდ ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე ძირითადად *ex post* რეგულირებით. ასეთ სიტუაციაში ქვეყნის არსი გაანალიზებულია ბროუზის საქმეში, რომელიც ამავე თავშია წარმოდგენილი.

საკორპორაციო სამართლის სრული სურათის შექმნა მხოლოდ კორპორაციული რეგულაციებიდან გამომდინარე შეუძლებელია. თუ კომპანიის ფასიანი ქაღალდები განთავსებულია საჯარო ვაჭრობისთვის კაპიტალის ბაზარზე, სურათი გვეკარნახობს, რომ უფრო მეტად გაერთიანებული სამეფოს კომპანიაზე გავამახვილოთ ყურადღება. პირველი, ნებისმიერი ტრანზაქცია დირექტორსა და კომპანიას შორის, რომელიც აღემატება 120 000 ამერიკულ დოლარს, მაშინ ტრანზაქცია უნდა იქნეს გახსნილი აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე.⁷⁹ მეორე, ბანკების გარდა, რომლებიც ჩვეულებრივად გასცემენ სესხებს, სხვა კომპანიამ შესაძლოა არასდროს მისცეს სესხი მენეჯერსა თუ დირექტორს.⁸⁰ მესამე, დირექტორის კომპენსაციის ყველა დეტალი უნდა ეცნობოთ აქციონერებს.⁸¹ მეოთხე, ევროპული წესებისგან განსხვავებით, რომლითაც შეზღუდულია ლისტინგში გატარებული კომპანიები, კომპანიის ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი ტიპის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით დასჯადია, მიუხედავად იმისა, ეს კომპანია ლისტინგში გატარებულია თუ არა.⁸² ამგვარად, როდესაც ფედერალური საკორპორაციო სამართალი განიხილება შტატების საკორპორაციო სამართალთან ერთად, წესებზე დამყარებული რეგულაციები გერმანიისა და გაერთიანებული სამეფოს რეგულაციებთან შედარებადია.

3. სტანდარტების გამოყენება. აშშ-ის შტატის სასამართლოები ეყრდნობიან როგორც დელავერის ზოგად საკორპორაციო სამართალს, ისე მოდელურ კანონს, რომლებმაც (სასამართლოებმა) შეიმუშავეს ძირითად საქმეებში, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ერთგულების მოვალეობის გამოყენებასთან დაკავშირებული კონკრეტული წესები. გამომდინარე იქიდან, რომ კორპორაციათა უმრავლესობა დელავერის შტატშია დაფუძნებული და გა-

⁷⁶ დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართალი, § 144 (ა).

⁷⁷ მოდელური კანონი, §§ 8.60-8.62.

⁷⁸ დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართალი, § 143.

⁷⁹ 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსი, § 240.14a-101, მე-6 პუნქტი (დ), 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსის § 229.404-თან კავშირში.

⁸⁰ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ კანონი, 1934, §13 (კ).

⁸¹ 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსი, § 240.14a-101, მე-8 პუნქტი, 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსის § 229.402-თან კავშირში.

⁸² 17 ფედერალური რეგულაციების კოდექსი, § 240.10b5-1.

მომდინარე დელავერის სასამართლოების ხარისხიდან, დელავერში გამოტანილი გადაწყვეტილებები უამრავი და ყველაზე კარგად ცნობილია. მიზეზი, რის გამოც უფრო მეტად ამ შტატის სასამართლოების აქტიურობაა განპირობებული, არის მოქნილი ტერმინოლოგია, მაგალითად, როგორც „სამართლიანი“, „გონივრული“, „ადეკვატური“ და „დაუინტერესებელი“. თუ დღის წესრიგში მდგომი ტრანზაქციის კონტექსტში, რომელშიც ერთ ან რამდენიმე დირექტორს აქვს გარკვეული ინტერესი, ხოლო კომპანია ვერ შეძლებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სრულფასოვან წარმართვას სრული გახსნილობის რეჟიმითა და დაუინტერესებელი დირექტორების მხრიდან დამტკიცების კუთხით, შემდეგ სასამართლო შეამოწმებს ტრანზაქცია ეკონომიკურად „სამართლიანი“ იყო თუ არა კორპორაციისთვის.⁸³ სუბსტანციურობის დადგენის ეს წესი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს წესამდე და უნდა დასაბუთდეს ნებისმიერი საქმიდან გამომდინარე კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. ამ ელემენტების გარკვეულწილად ბუნდოვანება მენეჯმენტს ახალისებს, რომ მათ გამოიყენონ გახსნილობისა და დაუინტერესებელი დირექტორების მიერ გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი იმისათვის, რომ თავი აარიდონ მათ მიმართ სამართალწარმოების დაწყებას გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. თუ ინტერესი ამით სანიტარიზებულია, მაშინ მიღებული გადაწყვეტილება სამეწარმეო მართლმსაჯულების წესის მიხედვით იქნება დაცული, რომელსაც ჩვენ მომდევნო თავში განვიხილავთ. მნიშვნელოვან გამჭვირვალობასა და მოკრძალებულ რეგულირებას შორის გარკვევა სამეწარმეო მართლმსაჯულების წესის მიხედვით „საშუალო ყურადღებიანობის“ წესზე გადის, რომელიც გამოიყენება ბორდის გადაწყვეტილების განხილვისას მტრული დაუფლების წინააღმდეგ ზომების მიღებასთან დაკავშირებით.⁸⁴ კონკრეტული საქმეებიდან გამომდინარე, რომელიც დელავერის სასამართლოების მიერ არის მიღებული, რომელიც ორივე „სამეწარმეო მართლმსაჯულების წესისა“ და „საშუალო ყურადღებიანობის“ წესს შორის არის მიღებული და აანალიზებს სამართლიანობის კრიტერიუმებს დეტალურად, გარკვეულწილად უცხოა გერმანული და გაერთიანებული სამეფოს სამართლებრივი სისტემებისთვის. რამდენიმე მნიშვნელოვანი სასამართლო საქმე შეიძლება იხილოთ მე-13 და 25-ე თავებში. გერმანიისა და გაერთიანებული სამეფოსგან განსხვავებით, დელავერის სამართალი ნებას რთავს კომპანიას დირექტორის გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობის ინდემნიფიკაცია გააკეთოს, მაგრამ დაუშვებლად ცნობს ინდემნიფიკაციის ინსტიტუტის გამოყენებას ერთგულების მოვალეობის დარღვევის არსებობისას.⁸⁵ ნებისმიერ შემთხვევაში, ისევე როგორც დანარჩენ ორ იურისდიქციაში, აქაც დირექტორისა და მენეჯერის დაზღვევის ინსტიტუტი აქტიურად შეიძლება იქნეს გამოყენებული დირექტორის ფიდუციური მოვალეობის დარღვევის შედეგად წარმოშობილი ხარჯების დასაფარად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელი პირის მხრიდან განზრახ ქმედებით დაირღვა ფიდუციური მოვალეობა.

⁸³ *Weinberger v. UOP Inc.*, 457 A 2d 701, 711 (დელავერი 1983).

⁸⁴ *Unocal Corp. V. Mesa Petroleum*, 493 A 2d 946 (დელავერი 1985).

⁸⁵ დელავერის ზოგადი საკორპორაციო სამართალი, § 102(ბ)(7).